ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4354673

ნომერი: AR1657395

თარიღი : 24.01.2019

გაცემის თარიღი : 29.01.2019

გაცნობის თარიღი : 29.01.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარეკეთილი 3 , მიკრო/რაიონი IV , N185-ე სკოლის წინ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა სირაძე პ/ნ 01010013468
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 13 ბ. 30

ნომენკლატურა :

- საცურაო აუზი
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საცურაო აუზი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მამუკა სირაძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვითა და განმარტებით ბარათში დაფიქსირებული ინფორმაციის შესაბამისად დგინდება, რომ ხდება არა საცურაო აუზის არამედ სპორტული კომოლექსის მშენებლობა. აქედან გამომდინარე პირველ რიგში საჭიროა სამსახურის მიერ 26.09.2017წ. №3537999 ბრძანებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშნებლოდ გამოყენების პირობებში შეიტანოთ ცვლილება და საპროექტო ობიექტად ნაცვლად „საცურაო აუზისა“ დაფიქსირდეს „სპორტული დარბაზი/კომპლექსი“ . შესაბამისად ფუნქციური დანიშნულების კატეგორიაში უნდა აირჩიოთ „სპორტულ-გამაჯანსაღებლი ობიექტები“ , - ფუნქციური დანიშნულების ჯგუფი : „სპორტული დარბაზი/კომპლექსი“ .

მიწის ნაკვეთის სამშნებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შემდგომ, ესკიზის წინასწარ შეთანხმებაზე საჭიროა საკითხი დააყენოთ შესაბამისი კლასით. აქვე გაითვალისწინეთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 67-ე მუხლის თანახმად II კლასს განეკუთვნება :

- განაშენიანების ინტენსივობის (სიმჭიდროვის) კოეფიციენტით K-2-ით განსაზღვრული ან იმ ზონაში, სადაც K-2 არ განისაზღვრება – სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური 300 მ2-მდე ფართობის (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური 500 მ2-მდე ფართობის), 5 მ-დან 12 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-დან 4 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა;

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.